

საქართველოს ეროვნული ბანკი

ქირითადი მიმართულებები და ფუნქციები

პირველი გამოცემა




თბილისი • 2008

შინაარსი

შესავალი	5
ცენტრალური ბანკის ისტორია საქართველოში	7
ეროვნული ბანკის მმართველობა და ორგანიზაცია	12
ეროვნული ბანკის ამოცანები	14
ეროვნული ბანკის ფუნქციები	16
ეროვნული ბანკი და ინფლაცია	17
როგორ ებრძვის ეროვნული ბანკი ინფლაციას? – მონეტარული პოლიტიკა	22
ფინანსური სტაბილურობა	26
გაცვლითი კურსის პოლიტიკა	28
საგადახდო სისტემების ორგანიზება და მართვა	29
საგადახდო და ნუმიზმატიკური დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვება	31
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვა	31
მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი	32

ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა.....	32
საფინანსო და საგარეო სტატისტიკის წარმოება.....	34
თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.....	35
ტერმინთა განმარტება.....	37
საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული გამოცემები.....	40
საქართველოს ეროვნული ბანკის სათავო ოფისი.....	42



შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკი არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება, მარტივად თუ ვიტყვით, ფულის ღირებულების შენარჩუნება და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფაა.

ვიდრე კაცობრიობა ფულს გამოიგონებდა, ვაჭრობა, ძირითადად, ბარტერულ ხასიათს ატარებდა — ერთი საქონელი უშუალოდ იცვლებოდა მეორეზე. შემდეგ ეტაპზე ბარტერი ჩაანაცვლა სასაქონლო ფულმა, როდესაც რომელიმე საქონელი, მაგალითად, ძვირფასი ლითონები და ქვები, გაცვლის საშუალებად გამოიყენებოდა. ვინაიდან სასაქონლო ფულით ვაჭრობა მოუხერხებელი იყო, შემდეგ გავრცელდა კპოვა სტანდარტიზირებულმა მონეტებმა. პირველი მონეტის სამშობლოდ ლიდიის სამეფო მიიჩნევა. ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისში ლიდიაში საქონლის ღირებულების საზომად შემოიღეს დისკოს ფორმის, განსაზღვრული წონისა და სინჯის მქონე, ელექტრუმის (ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივი შენადნობი) ზოდები, რომელთა სრულფასოვნების გარანტიას სახელმწიფო იძლეოდა. სტანდარტიზირებულ მონეტებს ჰქონდათ ერთნაირი წონა, ზომა, შემადგენლობა და მათი მოჭრის უფლება მხოლოდ უმაღლეს ხელისუფალს ენიჭებოდა.

აღსანიშნავია, რომ სტანდარტიზირებული მონეტების უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, კოლხეთში ვერცხლის მონეტების მოჭრა ძვ. წ. VI-V საუ-

კუნეებში დაიწყო. ისინი ცნობილია „კოლხური თეთრის“ სახელწოდებით და გამოირჩევა მხატვრული შესრულების მაღალი ხარისხით.

სასაქონლო ფულის სისტემა მომდევნო ეტაპზე ჩაანაცვლა წარმომადგენლობითმა ფულმა, რომელიც ფულის გამომშვების მიერ მისი წარმომდგენისათვის ფულის ნიშანზე აღნიშნული ღირებულების საქონლით (როგორც წესი, ოქრო ან ვერცხლი) ანაზღაურებას გულისხმობდა. ფულის ნიშნების ეს კატეგორია თავისუფლად ბრუნავდა მიმოქცევაში, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ იგი ისეთსავე ფასეულობას შეიცავდა, როგორც ოქრო. წარმომადგენლობითი ფული მიმოიქცეოდა მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მესამედის განმავლობაში.

საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შემდეგ ეტაპზე მიმოქცევაში შემოვიდა ქაღალდის ფული, რომელიც უშუალოდ არ იყო უზრუნველყოფილი რაიმე საქონლით. სწორედ ამ ტიპის ფულის ემისიით (გამომშვებით) არიან დაკავებული დღეს ცენტრალური ბანკები.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას აქვს ცენტრალური ბანკი. მართალია, მათ შორის გარკვეული განსხვავებები არსებობს, თუმცა, ძირითადად, ისინი ერთსა და იმავე ფუნქციებს ასრულებენ და ერთ-ერთი სწორედ ფულის ნიშნების ემისიაა.




სტატერი. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. VI-V სს.
„ქოლხური თეთრის“ აბსოლუტური უმრავლესობა
აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში:
ჩრდილოეთით ქ. სოხუმიდან, სამხრეთით –
მდინარე ჭოროხის შესართავამდე და შავი ზღვის
სანაპიროდან ლიხის ქედამდე.

ცენტრალური ბანკი ნებისმიერი სუვერენული ქვეყნისათვის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებაზე. მსოფლიოში პირველი ცენტრალური ბანკი დაარსდა შვედეთში 1668 წელს და იგი „რიკსბანკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. „რიკსბანკის“ შემდეგ მეორე ცენტრალური ბანკია „ინგლისის ბანკი“, რომელიც 1694 წელს შეიქმნა.

მსოფლიოს უმსხვილეს ცენტრალურ ბანკებს შორის, რომლებიც საფინანსო ბაზრების მდგომარეობაზე გლობალური მასშტაბით ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, აღსანიშნავია აშშ-ისა და ევროპის ცენტრალური ბანკები. აშშ-ის ცენტრალური ბანკი — ფედერალური სარეზერვო სისტემა — შეიქმნა აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებით 1913 წელს, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც ყველაზე თანამედროვე საბანკო მოდელს წარმოადგენს, დაარსდა 1999 წელს.





ცენტრალური ბანკის ისტორია საქართველოში

პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცენტრალური ბანკის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან და, ფაქტობრივად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ჟურულმა რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და მისი წესდების შესახებ. გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მისი დამტკიცება 1919 წლის ბოლომდე ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი (მოღვაწეობდა 1919 წლის 21 მარტიდან) აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სა-

ხელმწიფო ბანკის მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მოწყობის პრინციპებზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო. ბანკის დაარსებისათვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მისი მთლიანი მოგებაც მასვე ეკუთვნოდა.


1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, სტრუქტურული წყობა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის თანახმად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის



ილ. ჩიქოვაძე

იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949 წწ.)
საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი
თავმჯდომარე



საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდება (1919 წ.)

„ყოველი ბანკის დაარსების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზედაა მიქცეული, თუ რამდენათ დაიმსახურებს თავიდანვე ეს ბანკი შინაური და გარეშე კლიენტებისა და საზოგადოების ნდობას. ეს შეეხება როგორც კერძო ისე სახელმწიფო და საზოგადო საბანკო დაწესებულებას. ამიტომ არის რომ ყოველი ბანკის დაარსების დროს ცდილობენ დამაარსებლად შეიყვანონ როგორც მატერიალური ისე მორალური მხრით გავლენიანი დაწესებულებანი და კერძო პირები და მმართველობაც მოაწიონ ისე, რომ თავიდანვე ეს ნდობა დაიმსახურონ.

საქართველოს სახელმწიფო ბანკისათვის უმეტესად საჭიროა ამ ნდობის თავიდანვე მოპოვება. ჩვენ პატარა სახელმწიფოში ეს ბანკი უნდა იქნეს არა თუ უმთავრესი არამედ ერთადერთი რეგულიატური ფულის ტრიალისა, ის უნდა იყოს ის აუზი, სადაც ყველა თავისუფალი ფული უნდა შედიოდეს და საიდანაც იგი ნაწილდებოდეს

ვაჭრობა მრეწველობის და ეკონომიური მხრის გასაძლიერებლად, ამიტომ მობარებული ფულების რაოდენობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ფულის მობარება კი მხოლოდ ნდობაზე იქნება დამყარებული.

ამ ბანკს მეორე დიდი მიზანიც ექნება: ემისიის განადგება. ემისია მარტო უფლება კი არ არის, ის ბანკის უმთავრესი მოვალეობაა და მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ბანკი დაიმსახურებს ნდობას, იმდენათ უფრო კარგათ განადგდება იგი, იმდენათ უფრო მჭიდრო და მკვიდრი იქნება ბანკის მიერ გამოცემული ფულის ღირებულება. ვერც ოქროს ფონდი, მით უმეტეს ვერც სხვა გარანტიები, ემისიას ძირს ვერ გაუმაგრებენ, თუ ბანკის ორგანიზაცია, ან მისი მართვა რაიმე ეჭვს დაბადებს...“

იასონ ლორთქიფანიძე

„საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების ძირითადი საკითხი“. 1919 წ.

მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

ფუნქციონირების მცირე პერიოდის მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა საქართველოსათვის მრავალი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწორო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. ამის გამო, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით, გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურორებად მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარი იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზები დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი – „მარჩილი“ შეირჩა. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“



საქართველოს ეროვნული ბანკის შენობის ფოტო. 1919 წელი.



500 მანეთი. 1919 წ. ესკიზის ავტორი იოსებ შარლემანი.



25 მარჩილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი. 1920 წ. ავტორი ევგენი ლანსერე. ესკიზი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

მოსვენებულია ქართველი დიდგვაროვნებისაგან მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები.

1920 წლის ივნისში, მთავრობის დავალებით, მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის

ესკიზი შეასრულა. საქართველოს ეროვნული ვალუტა — მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნივთიერ წყაროდ შემორჩენილია მხოლოდ 25 მარჩილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.



საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამ, რასაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის, სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.


იმ პერიოდის საბანკო კანონმდებლობა არაერთ ნაკლს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ არ იყო გამოხატული ეროვნული ბანკის

დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. ასევე, ცალსახად არ იყო ჩამოყალიბებული მისი ძირითადი ფუნქციები, კერძოდ, ცენტრალურ ბანკს ერთდროულად ევალებოდა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, „ეკონომიკის შეწონასწორებული განვითარებისა“ და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირება. ეს ცენტრალური ბანკისათვის მეტად ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ საკითხებს გულისხმობდა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

იყო პერიოდი, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა საკანონმდებლო ხელისუფლება და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მონეტარული რეგულირების კუთხით, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იღებდა.

მოგვიანებით, 1995 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, რომელიც დღემდე მოქმედებს. 2008 წლის 14 მარტს საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, რაც, თვისებრივად, ახალი კანონის ტოლფასი იყო.






ეროვნული ბანკის მმართველობა და ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენილია საკუთრივ ეროვნული ბანკის, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურით. ეროვნული ბანკის უმთავრესი ფუნქცია მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაა, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო პასუხისმგებელია ქვეყნის საფინანსო სექტორის (კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საბროკერო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) რეგულირებაზე, ხოლო ფინანსური მონიტორინგის სამსახური — უკანონო შემოსავლის ღებავიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობაზე.

ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ეროვნული ბანკის საბჭო, ხუთი წევრის შემადგენლობით, ხოლო ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაზე პასუხისმგებელია მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი. საბჭო შედგება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და სამი სხვა წევრისაგან. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აირჩევა საბჭოს წევრებს შორის და იგი, ერთდროულად, წარმოადგენს საბჭოს თავმჯდომარეს, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრს.

საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემა






ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მათი არჩევა ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ შვიდი წლის ვადით, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე. პარლამენტის მიერ დამტკიცებული საბჭოს შემადგენლობიდან კი საბჭო თავად ირჩევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ერთ ვიცე-პრეზიდენტს და წარუდგენს მათ საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი წარმოადგენენ საბჭოს აღმასრულებელ წევრებს და, ორგანული კანონის თანახმად, ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, ხოლო საბჭოს არააღმასრულებელი წევრები შესაძლოა იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც. ეროვნული ბანკის საბჭო ხელმძღვანელობს და ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკის საქმიანობას. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: დაამტკიცოს საერთაშორისო რეზერვების მართვის პრინციპები, დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ

ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლის კურსის განსაზღვრის წესი, დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული და კაპიტალური ბიუჯეტი და სხვა.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი ორგანოა, რომლის შემადგენლობაში არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და შესაძლოა მასში შეყვანილ იქნენ მოწვეული პირებიც. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ძირითადი ფუნქცია არის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამ მიზნით, კომიტეტი რეგულარულად იკრიბება და იღებს გადაწყვეტილებებს მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების და/ან მონეტარულ პოლიტიკაში (მაგ., სავალდებულო რეზერვების ნორმების) სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის თაობაზე.





ეროვნული ბანკის ამოცანები

საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უმთავრესი მიზანია ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, რაც ფასების საერთო დონის (ინფლაციის) ზრდის დაბალი და პროგნოზირებადი ტემპის უზრუნველყოფას გულისხმობს. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა,

გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მის მიერ ძირითადი ამოცანის შესრულებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი პოლიტიკური პროცესებისაგან დამოუკიდებელია და საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების და

ვინ რას აკეთებს საქართველოს ეკონომიკაში

საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას შემუშავებს და განახორციელებს კიდევ ორი სახელმწიფო უწყება – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროში ყოველწლიურად მზადდება ქვეყნის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი – ძირითადი მიმართულებები და მონაცემები და ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტი. იგი პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ახორციელებს სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებას, ასევე, უზრუნველ-

ყოფს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურებას და საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მეშვეობით – საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან და მდგრად განვითარებას. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ძირითადი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, სახელმწიფო ქონების მართვა, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის პროცესის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება.




სხვა ორგანოებს უფლება არ აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მოკლევადიანმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა არ იქონიოს გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე. ეს უკანასკნელი კი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფოს ფულის ღირებულების შენარჩუნებისაკენ გრძელვადიან პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკები ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილური განვითარების ინტერესებს ემსახურებიან. აგრეთვე, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია ეკონომიკურად და

ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნულ ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი არ არის ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე.

საქართველო მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და, შესაბამისად, მასზე დიდ გავლენას ახდენს რეგიონსა და, მთლიანად, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოებებს.





ეროვნული ბანკის ფუნქციები

საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

- მონეტარული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- გაცვლითი კურსის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- საგადახდო სისტემების მართვა და ოპერირება;
- ფულის ნიშნებით ეკონომიკის უზრუნველყოფა;

- ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვა;
- არის მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
- ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა;
- საბანკო, მონეტარული და საგარეო სტატისტიკის წარმოება;
- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

თითოეული ფუნქციის აღწერამდე მიმოვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ინფლაცია და რატომ უნდა ებრძოდეს მას ეროვნული ბანკი.

დეფლაცია

მსგავსად ინფლაციისა, დეფლაცია, რომელიც ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესს — ანუ ფასების საერთო დონის კლებას წარმოადგენს, ასევე საზიანოა ეკონომიკისათვის. დეფლაციის დროს მომხმარებელი ცდილობს, არ შეიძინოს საქონელი და არ ისარგებლოს მომსახურებით დღეს და დაელოდოს ფასების კლებას.

ასეთ პირობებში, მწარმოებლებს უგროვდებათ დიდი ოდენობით არარეალიზებული საქონელი და ისინი ცდილობენ უკვე დღესვე

შეამცირონ ფასები. ყოველივე ეს მწარმოებლებს უბიძგებს წარმოების მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებისაკენ. შესაბამისად, იკლებს ეკონომიკაში სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯები. ერთისა და მეორის შემცირებაც განაპირობებს ეკონომიკის შემცირებას. დეფლაციის პროცესის დაწყება იწვევს დეფლაციური სპირალის განვითარებას, რისი შეჩერებაც ძალზე რთულია, ვინაიდან ასეთ ვითარებაში, მონეტარული პოლიტიკა არაეფექტიანი ხდება.



სამომხმარებლო კალათა – საშუალოდ ერთი ოჯახის მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ნაკრები. სამომხმარებლო კალათაში შემაჯავლი საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებები თვიდან თვემდე წარმოადგენს მთლიანად ფასების ცვლილებების ინდიკატორს, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსში აისახება.

ეროვნული ბანკი და ინფლაცია

რა არის ინფლაცია?

ინფლაცია განისაზღვრება, როგორც საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდა. ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ერთ ან, თუნდაც, რამდენიმე საქონელსა ან მომსახურებაზე ფასების ზრდა არ ნიშნავს ინფლაციას, არამედ იგი წარმოადგენს ფასების ყოვლისმომცველ ზრდას. მაგალითისათვის ავიღოთ ტიპური სამომხმარებლო კალათა, რომელსაც ქართული საშუალოსტატისტიკური ოჯახი მოიხმარს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუ მასზე გაწეული ფულადი დანახარჯი პერიოდის მანძილზე გაიზარდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარკვეულ ინფლაციას ჰქონდა ადგილი. თუ ფულადი დანახარჯი ამ ტიპურ სამომხმარებლო კალათაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა,

მაშინ მაღალ ინფლაციასთან გვაქვს საქმე, ხოლო, თუ უმნიშვნელოდ — დაბალ ინფლაციასთან. ზოგადად, ფასების სტაბილურობა განისაზღვრება, როგორც დაბალი ინფლაცია და არა ფასების უცვლელობა. გარკვეული, მცირე ოდენობით ინფლაცია დასაშვებია და, ამავე დროს, სასურველიც, ვინაიდან იგი ასახავს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

რატომ არის ფასების სტაბილურობა მნიშვნელოვანი?

ფასების სტაბილურობა, რომელიც განისაზღვრება, როგორც დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია, აუცილებელი პირობაა ეკონომიკაში რესურსების ეფექტიანი გადანაწილებისა და, შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ინფლაციას აქვს დიდი მერყეობა მაშინ, როდესაც იგი არის მაღალი.

შესაბამისად, მაღალი და არაპროგნოზირებადი ინფლაცია ამცირებს გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი ზრდის გაურკვეველობას. კერძოდ, მაღალი და არაპროგნოზირებადი ინფლაციის პირობებში გამყიდველმა არ იცის, რა ფასი დაადოს საკუთარ პროდუქციას, ინვესტორმა — რა ოდენობის საპროცენტო განაკვეთი გადაიხადოს სესხში და მუშა-მოსამსახურემ — როგორი ხელფასი მოითხოვოს დამქირავებლისაგან. მაგალითისათვის, მაღალი ინფლაციის პირობებში, შესაძლოა, ცალკეულმა მეწარმემ ჩათვალოს, რომ მის პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა (ვინაიდან ფასი გაიზარდა, მათ შორის, მის პროდუქტზეც) და გაზარდოს წარმოება და გამოშვება. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ფასის ზრდა ამ კონკრეტული მეწარმის პროდუქტზე უკავშირდებოდა არა მოთხოვნის ზრდას, არამედ ზოგადად ინფლაციას, რომელიც ყველა სხვა საქონელსა და მომსახურებას მოიცავს. ასეთ პირობებში კი კომპანიები შეეცდებიან, გადადონ ინვესტიციები, არ გაზარდონ წარმოება და დასაქმება, ვინაიდან მაღალი ინფლაციის დროს სიტუაცია რთულად პროგნოზირებადია და არსებობს სერიოზული გაურკვეველობა.

მაღალ ინფლაციას ასევე მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია. კერძოდ, მაღალი ინფლაციის პირობებში, როგორც წესი, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობა ზარალდება (ვისაც არ გააჩნია ინფლაციისაგან თავის დაცვის საშუალებები) და მათი შემოსავლები ყველაზე მეტად კარგავს ღირებულებას, რაც აუარესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რა იწვევს ფასების ზრდას?

ინფლაციას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი იწვევს. ზოგადად, გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის განმაპირობებელი მთავარი მიზეზია მიმოქცევაში არსებული ჭარბი ფული, თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციაზე სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებს, კერძოდ:

1. სამომხმარებლო ფასების საერთო დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსხვილ სასაქონლო ჯგუფებზე ფასების ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველოს ეკონომიკა ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკასთან და სხვადასხვა სახეობის საქონლის საქართველოში იმპორტი ხდება მსოფლიო ფასებით. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება მსოფლიო

ფასების სტაბილურობა თუ გაცვლითი კურსის სტაბილურობა?

ეროვნული ბანკის შესახებ დღეს მოქმედი კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. თუმცა, ხშირად საზოგადოებას ეუფლება განცდა, რომ ეროვნული ბანკი სრულად აკონტროლებს გაცვლით კურსსაც. სამწუხაროდ, როგორც ეკონომიკური თეორია ადასტურებს, ღია ეკონომიკებისათვის გაცვლითი კურსისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ხშირად ერთმანეთთან არათავსებადი ამოცანებია. ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა

რობერტ მანდელმა შეიმუშავა კონცეფცია — „განუხორციელებელი სამება“ (impossible trinity), რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია, ერთი მხრივ, ფასების სტაბილურობის, მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის სტაბილურობის და, ამასთან, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების პოლიტიკათა თავსებადობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნების უმრავლესობას ღია ტიპის ეკონომიკები აქვს, ზოგიერთი ცენტრალური ბანკი მხოლოდ გაცვლითი კურსის სტაბილურობას ისახავს მიზნად, ხოლო უმრავლესობა — ფასების სტაბილურობას.



ფასების ზრდას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი იწვევს. ზოგადად, გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის განმაპირობებელი მთავარი მიზეზია მიმოქცევაში არსებული ჭარბი ფული, თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციაზე სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებს.

ბაზარზე ამა თუ იმ გლობალური მნიშვნელობის მქონე საქონელზე საქართველოში ამ საქონლის ფასებზე პირდაპირ აისახება. ასეთი საქონლის კატეგორიას განეკუთვნება ნავთობი, ხორბალი, შაქარი, ბამბა, სპილენძი და სხვ. ნაწილი წარმოადგენს სამომხმარებლო ხასიათის საქონელს, რომლის პირდაპირი იმპორტი ხდება საქართველოში და მსოფლიო ბაზარზე ფასების ცვლილება ავტომატურად აისახება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. მეორე ნაწილი კი წარმოადგენს საწარმოო ნედლეულს (მაგ., ნავთობი), რომლის ფასის მატება მსოფლიო ბაზარზე ზრდის წარმოების დანახარჯებს მათი გამოყენებული ქართული კომპანიებისათვის და ეს უკანასკნელნი იძულებული არიან, გაზარდონ საკუთარი პროდუქციის ფასები.

2. გარდა საგარეო ეკონომიკური ფაქტორებისა, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ეგზოგენური

(გარეშე) გარემოებებით გამოწვეული შოკები (მოუსაველიანობა, სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედება, საფაგრო ემბარგო და ა. შ.), რომლებიც ზღუდავენ ამა თუ იმ საქონლის მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფასის მატებას. მაგალითად, არასახარბიელო კლიმატური პირობების გამო, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დაბალი მოსავალი იწვევს ამ საქონლის მიწოდების შემცირებას და, შესაბამისად, მასზე ფასების ზრდას.

3. არაპირდაპირი გადასახადების (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი) ცვლილება ასევე გავლენას ახდენს სამომხმარებლო ფასების საერთო დონეზე.

4. ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონეზე გავლენას ახდენს ნომინალური გაცვლითი კურსი. ლარის სხვა ვალუტების მიმართ გაუფასურების შემთხვევაში, იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება, გამოხატული

ლარით, იზრდება და, რადგან იმპორტული პროდუქციაც, ისევე როგორც ადგილობრივი, წარმოადგენს სამომხმარებლო კალათის ნაწილს, იზრდება ფასების საერთო დონეც. ანალოგიურად, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ლარის გაცვლითი კურსის გამყარებას, იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება, გამოხატული ლარით, მცირდება და იწვევს ფასების საერთო დონის კლებას.

5. ფასების საერთო დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაში შიდადარგობრივი კონკურენციის დონე. ამა თუ იმ დარგში მონოპოლიური (მხოლოდ ერთადერთი მომწოდებლის არსებობა) ან ოლიგოპოლიური (რამდენიმე მომწოდებლის არსებობა) მდგომარეობის დროს, ამ დარგის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასი, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

ინფლაცია საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ ღრმა ეკონომიკური კრიზისის პერიოდი განვლო, რომელიც, ძირითადად, ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი ჰიპერინფლაციით ხასიათდებოდა. მართალია, დამოუკიდებლობა საქართველომ 1991 წელს მოიპოვა და ეროვნული ბანკიც იმავე წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ 1993 წლის აპრილამდე მიმოქცევაში საბჭოთა რუბლი იყო. როდესაც 1992 წლის ბოლოს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა საქართველოს რუბლის მიწოდება შეუწყვიტა, 1993 წლის აპრილში შემოდებულ იქნა კუპონი – როგორც გარდამავალი ფულის ერთეული. კუპონის შემოღების შემდეგ განხორციელებული მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა აბსოლუტურად „მოშვებული“ იყო – ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის საქმიანობაში მთავრობის და პარლამენტის პირდაპირ ჩარევას, რის შედეგადაც მიმოქცევაში არსებული ფულის მასა 1993 წლის აპრილიდან 1994 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში 150-ჯერ გაიზარდა. ფულის მასის ასეთი მასშტაბით ზრდას ხელს უწყობდა ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაკრედიტება. სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის განკარგულებით,

ეროვნულ ბანკს დაევალა მთავრობისათვის 720 მილიარდი კუპონის მოცულობის სესხის გამოყოფა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ ღრისათვის ეკონომიკაში არსებული ფულის მოცულობას. ამგვარმა არასწორმა პოლიტიკამ შესაბამისი შედეგი გამოიღო და წლიურმა ინფლაციამ 1993-1994 წლებში, შესაბამისად, 7500 და 6500 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ჰიპერინფლაციური პროცესების შედეგად, მთლიანად გაუფასურდა საქართველოს მოსახლეობის დანაზოგები, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოება.

1994 წელს საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით წამოიწყო სტაბილიზაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 1995 წელს შემოდებულ იქნა ახალი ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც შესაძლებელი გახდა ინფლაციის მნიშვნელოვნად შემცირება. კერძოდ, უკვე 1996 წლის ბოლოს წლიური ინფლაციის დონე 13.8 პროცენტამდე დაეცა. მას შემდეგ ინფლაცია საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მოკლევადიან ეპიზოდურ პერიოდებს, ერთნაირად დონეზეა.



საქართველოში ინფლაციის გასაზომად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც აღწერს საშუალო ქართული შინამეურნეობის სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების ცვლილებას.

6. ფულის მიწოდების ზრდა, ანუ ეკონომიკაში ჭარბი ფულის არსებობა, ინფლაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფულის მიწოდების ზრდის რამდენიმე წყარო არსებობს. კერძოდ, გამოვეყოფთ ორ ძირითად წყაროს: ა) ბიუჯეტის მაღალი დეფიციტი — როდესაც სახელმწიფო საკუთარ შემოსავლებზე უფრო მეტ ფულს ხარჯავს (სესხების აღების ან წინა პერიოდებში დაგროვილი დანაზოგების გამოყენების გზით); ბ) მაღალი უცხოური ინვესტიციები — როდესაც ქვეყანაში შემოდის დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალი, იზრდება ფულის მასა.

ვინ და როგორ ზომავს ინფლაციას?

ინფლაციის (ფასების ცვლილების) გაზომვის რამდენიმე მეთოდი არსებობს. საქართველოში ინფლაციის გასაზომად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც აღწერს

საშუალო ქართული შინამეურნეობის სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების ცვლილებას.

სტანდარტული სამომხმარებლო კალათის შედგენა ხდება მთელი საქართველოს მასშტაბით შინამეურნეობების ბიუჯეტის გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი სამი ათასზე მეტ შინამეურნეობაზე დაკვირვებით, ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში. დღეს მოქმედი კალათა შედგება 288 დასახელების სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებისაგან. ინფლაციის ოფიციალური მონაცემების გაანგარიშება ხდება სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ყოველთვიურად. იგი ხელმისაწვდომია როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის (www.statistics.ge), ასევე ეროვნული ბანკის (www.nbg.gov.ge) ვებ-გვერდებზე.

როგორ ებრძვის ეროვნული ბანკი ინფლაციას? – მონეტარული პოლიტიკა

საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელობა

საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით იყენებს მონეტარულ პოლიტიკას. ეროვნული ბანკი ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას ქვეყანაში ფულის მიწოდებასა და კრედიტის მოცულობაზე ზემოქმედების გზით, ვინაიდან გრძელვადიან პერიოდში სწორედ ფულის მოცულობის ცვლილება ახდენს გავლენას ინფლაციაზე. ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებული მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებით რეაგირებს ეკონომიკაში არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ზემოქმედებს ფულის მიწოდებაზე.

საპროცენტო განაკვეთის აწევით ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ფულის მიწოდების შემცირებას და პირიქით. ზოგადად, ეკონომიკა შედგება შინამეურნეობებისა და საწარმოებისაგან. როდესაც ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთები მაღლა იწევს, შინამეურნეობები ცდილობენ, შეზღუდონ მოხმარება და გაზარდონ დანაზოგები, ხოლო საწარმოები საინვესტიციო პროექტებს მომავლისათვის გადაავადებენ, რაც, ერთობლიობაში, განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის შენელებას და ფასების კლებას. იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთები მცირდება, შინამეურნეობები ზრდიან სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო კომპანიები — საინვესტიციო ხარჯებს, რასაც, ერთობლიობაში, ფულის მიწოდების და, შესაბამისად, ფასების ზრდისაკენ მიყვავართ.

მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი

მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანოა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი). კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად, წინასწარ განსაზღვრული კალენდრის მიხედვით (გამოქვეყნებულია ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე). ყოველი შეხვედრისათვის ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტისა და ფულადსაკრედიტო და სავალუტო ოპერაციების დეპარტამენტის წარმომადგენლები ამზადებენ შესაბამის მასალას, რომელიც კომიტეტის წევრებს წინასწარ ურიგდებათ. კერძოდ, ეს არის არსებული სიტუაციის ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ზოგადი მაკროეკონომიკური ტენდენციების შესახებ ქვეყნის რეალურ, ფისკალურ, მონეტარულ და საგარეო სექტორებში; აგრეთვე, საერთაშორისო ბაზრებსა და ძირითად პარტნიორ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ. მეორე დოკუმენტი წარმოადგენს პროგნოზებისა და სცენარების ანგარიშს, რომელშიც მოცემულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების

მდგომარეობა, ინფლაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზები და მათი მომზადების დროს გამოყენებული დაშვებები, აგრეთვე, სხვადასხვა სცენარები, მათ შორის, მონეტარული პოლიტიკის ცვლილებით და მის გარეშე.

კომიტეტის სხდომა დილის 10 საათზე იწყება. პირველ მოხსენებას მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი აკეთებს, ხოლო შემდეგ მოხსენებას წარადგენს ფულადსაკრედიტო და სავალუტო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი. მოხსენებებისა და პრეზენტაციების შემდეგ იმართება დისკუსია კომიტეტის წევრების მონაწილეობით, ხოლო დისკუსიის შემდეგ კომიტეტის მდივანი იწყებს კენჭისყრის პროცესს პოლიტიკის ძირითადი განაკვეთის შესახებ. კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომიტეტი ამზადებს პრესრელიზს, რომელიც სხდომის დასრულებისთანავე — იმავე დღის 15:00 საათზე ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.



ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება

ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება. ეროვნული ბანკის განცხადებით, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება. ეროვნული ბანკის განცხადებით, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება.

საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები

საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები. ეროვნული ბანკის განცხადებით, საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები 2007 წელსაც შენარჩუნდება.

ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება

ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება. ეროვნული ბანკის განცხადებით, ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება.

მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის

მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის. ეროვნული ბანკის განცხადებით, მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის.

საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება

საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება. ეროვნული ბანკის განცხადებით, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი 2007 წელსაც შენარჩუნდება.

საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები

საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები. ეროვნული ბანკის განცხადებით, საბანკო გაზრდის წლის ტენდენციები 2007 წელსაც შენარჩუნდება.

ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება

ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება. ეროვნული ბანკის განცხადებით, ქვეყანაში გასოფილი ინფლაცია მკვიდრება.

მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის

მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის. ეროვნული ბანკის განცხადებით, მთავრობა ინფლაციას პასუხისმგებლობას იხსნის.

ინფლაციის მოლოდინის ფორმირებაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გაგრძელებულ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ეროვნული ბანკი ეკონომიკაში არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე გავლენის მოხდენას ცდილობს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთებით, რომელსაც იგი უშუალოდ ადგენს. როდესაც ეროვნული ბანკი ცვლის მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს, მისი მიზანია, პირველ რიგში, გავლენა მოახდინოს ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთებზე, რომელიც, თავის მხრივ, შემდგომ გავლენას მოახდენს სხვა საპროცენტო განაკვეთებზე, კერძოდ, დეპოზიტებისა და სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. აღნიშნული, შემდგომ, ფულის მიწოდების და, საბოლოოდ, ფასების ცვლილებაზე აისახება. რეალურად, ზემოთ აღწერილი პროცესი, რომლითაც პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს ფასებზე, უფრო მეტად კომპლექსურია და ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს ყველა ფაქტორის განსახილველ-გათვალისწინება მართება.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი წარმოადგენს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ორგანოს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად, წინასწარ გაცხადებული გრაფიკის მიხედვით და გადაწყვეტილებას იღებს მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებისა და აგრეთვე ამ გადაწყვეტილების ახსნა-განმარტების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება იმავე დღეს პრესრელიზის სახით, რომელიც ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენა ფასებზე მყისიერი არ არის. პროცესი საჭიროებს გარკვეულ პერიოდს, ვიდრე შინამეურნეოები და კომპანიები საკუთარ სამომხმარებლო და საინვესტიციო ქცევას შეცვლიან. თავის მხრივ, ქცევის ცვლილების ფასებზე გავლენასაც დრო სჭირდება.



საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით იყენებს მონეტარულ ინსტრუმენტებს.

ამიტომაც, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები დაფუძნებულია პროგნოზებზე. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მიერ პროგნოზირებული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ინფლაციის სამიზნე ნიშნული, ეროვნული ბანკი ცდილობს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას (საპროცენტო განაკვეთების აწევას), ხოლო, თუ პროგნოზირებული უფრო დაბალია, ვიდრე სამიზნე მაჩვენებელი, მაშინ ეროვნული ბანკი შეეცდება მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას (საპროცენტო განაკვეთების დაწევას). ინფლაციის პროგნოზების გაკეთება საკმაოდ კომპლექსური პროცესია, ვინაიდან ინფლაციის დონეზე გავლენას ახდენს უამრავი სხვადასხვა ფაქტორი, რომელთა პროგნოზირებაც ასევე აუცილებელია. ამ ფაქტორებს განეკუთვნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, შრომის ნაყოფიერების ცვლილება, საგარეო სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადები, ეკონომიკის მონეტიზაციის ზრდის ტემპი, გაცვლითი კურსის მოსალოდნელი დინამიკა, საერთა-

შორისო ბაზრებზე მოსალოდნელი სიტუაცია და ა. შ. ეროვნული ბანკი პროგნოზებს რთული ეკონომეტრიკული მოდელების და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე აკეთებს.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ინფლაციური მოლოდინის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავად ინფლაციის დინამიკასა და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე. როდესაც მოსახლეობა მოელოდა, რომ ინფლაცია მომავალში გაიზრდება, მაშინ შინამეურნეობები ცდილობენ, იმ დღესვე განახორციელონ ძირითადი შესყიდვები, რაც განაპირობებს სამომხმარებლო ხარჯებისა და, შესაბამისად, ინფლაციის ზრდას უკვე მიმდინარე პერიოდში. ასეთ სიტუაციაში მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი მოლოდინების ფორმირება უსაფუძვლოდ არ მოხდეს (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით), ვინაიდან ეროვნული ბანკი იძულებული ხდება, არსებულ მოლოდინებს მონეტარული პოლიტიკის

ცვლილებით უპასუხოს. თავის მხრივ, მონეტარული პოლიტიკის ცვლილებამ, რომელიც წარმოადგენს პასუხს უსაფუძვლოდ ფორმირებულ მოლოდინებზე, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ეკონომიკას.

მონეტარული ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი იყენებს მის ხელთ არსებულ მონეტარულ ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებსა და ფულის მიწოდებაზე.

ეროვნული ბანკის ძირითადი მონეტარული ინსტრუმენტებია:

— ღია ბაზრის ოპერაციები. ღია ბაზრის ოპერაციები წარმოადგენს ეროვნული ბანკის უმთავრეს და ყველაზე ეფექტიან მონეტარულ ინსტრუმენტს. ღია ბაზრის ოპერაციების გამოყენება გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის და/ან შემდგომში გამოსყიდვის პირობით ოპერაციების განხორციელებას კომერციულ ბანკებთან. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მიზნით იყენებს მის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს — სადეპოზიტო სერტიფიკატებს და მთავრობის სახაზინო ობლიგაციებს. თითოეული ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია გავლენას ახდენს კომერციული ბანკების რეზერვების მოცულობასა და, შესაბამისად, საკრედიტო რესურსების ოდენობაზე. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დროს

ეროვნული ბანკი და მისი მოგება

მსგავსად კომერციული ბანკებისა, ეროვნულ ბანკს გააჩნია საკუთარი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება, თუმცა, მათგან განსხვავებით, ეროვნული ბანკის მიზანი არ არის მოგების მიღება (საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკის უმთავრესი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა). ეროვნული ბანკის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მთავრობის ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ობლიგაციები) და უცხოური ვალუტის რეზერვები, ხოლო ძირითად ვალდებულებებს — კომერციული ბანკების მიმართ არსებული დავალიანება და მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები.

შესაბამისად, ეროვნული ბანკის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახაზინო ობლიგაციებზე

მთავრობის მიერ გადახდილი პროცენტები და უცხოური ვალუტის რეზერვების მართვით მიღებული შემოსავლები. ძირითად გასავლებს წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული (კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები) და ადმინისტრაციული ხარჯები. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული ბანკის ვალდებულებების უდიდესი ნაწილი ლარით, ხოლო აქტივების ასევე დიდი წილი უცხოური ვალუტით (აშშ დოლარი და ევრო) არის დენომინირებული, ლარის გაცვლითი კურსი ძირითადი სარეზერვო ვალუტების მიმართ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ბანკის ბალანსზე.

ეროვნული ბანკის ანალიტიკური ბალანსი

აქტივები	ვალდებულებები
სახაზინო ობლიგაციები	კომერციული ბანკების მიმართ დავალიანება
უცხოური რეზერვები	მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები

ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან იღებს ფულს და, შესაბამისად, ზღუდავს ფულის მიწოდებას, ხოლო ფასიანი ქაღალდების შეძენისას ეროვნული ბანკი ზრდის ფულის მიწოდებას;

— *სავალდებულო რეზერვების ნორმა.* შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე, ეროვნული ბანკი ყველა კომერციულ ბანკს ავალდებულებს მათ მიერ მოზიდული დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების გარკვეული ნაწილის ეროვნულ ბანკში შენახვას. სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილება გავლენას ახდენს ფულის მიწოდებასა და კრედიტის პირობებზე. კერძოდ, სავალდებულო რეზერვების ნორმის გაზრდით ეროვნული ბანკი ზღუდავს კომერციული ბანკების ხელთ არსებულ საკრედიტო რესურსებს, შესაბამისად, ბანკებს ნაკლები მოცულობის სესხების გაცემა შეუძლიათ. სესხების შეზღუდვა კი, თავის მხრივ, ამცირებს ფულის მიწოდებას. სავალდებულო რეზერვების ნორმის შემცირებას საპირისპირო შედეგი აქვს ფულის მიწოდებაზე;

— *მუდმივმოქმედი სასესხო საშუალებები.* კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ, ეროვნული ბანკიდან მიიღონ ერთდღიანი სესხები საჯარო საპროცენტო განაკვეთით. იმ შემთხვევაში, როდესაც კომერციულ ბანკს არ აქვს საკმარისი გამოყენებადი თანხები, მას შეუძლია, პირველ რიგში, მიმართოს ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარს, ხოლო ამ ბაზარზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში — მიმართოს ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკიდან ერთდღიანი სესხის აღებისას კომერციული ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოფის სახით, დააგირაოს სახელმწიფო ან ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები;

— *სავალუტო ოპერაციები.* ეროვნული ბანკის ჩარევა ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე რეგულარულად ხდება. ეროვნული ბანკის მიერ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვისას ეროვნული ბანკი ახდენს

ლარების ინექციას ეკონომიკაში და, შესაბამისად, ამ გზით ზრდის ფულის მიწოდებას, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვის შემთხვევაში, ადგილი აქვს ფულის მიწოდების შემცირებას.

ფინანსური სტაბილურობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. საქართველოში საფინანსო სისტემა, ძირითადად, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრისაგან შედგება. საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. მაგალითად, კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისაგან, ახორციელებენ მათ შემდეგ გადასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს, კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღდო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც, ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე — მთლიანად სექტორის დონეზე.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნით, ეროვნულ ბანკთან ფუნქციონირებს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო პასუხისმგებელია კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა მონაწილეებისათვის ლიცენზიების გაცემაზე,



საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქცია ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობა საქართველოში

2007 წლამდე საქართველოში საფინანსო სექტორის სამი სხვადასხვა მარეგულირებელი სტრუქტურული ერთეული არსებობდა. კერძოდ, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტი პასუხისმგებელი იყო კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ზედამხედველობას უწევდა ფასიანი ქაღალდების ბაზარს, ხოლო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური — სადაზღვევო საქმიანობას. შესაბამის კანონებში 2007-2008 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ამ სამი საზედამხედველო ორგანოს ბაზაზე ჩამოყალიბდა საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ერთიანი ორგანიზაცია — საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობის მრავალი განსხვავებული მოდელი არსებობს მსოფლიოში, თუმცა ქვეყნების უმრავლესობა

უპირატესობას ერთიან საზედამხედველო ორგანოს ანიჭებს. ზოგ შემთხვევაში, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია შეთავსებული აქვს ცენტრალურ ბანკს (მაგ., ჩეხეთი, კვიპროსი), ხოლო სხვა შემთხვევაში, ამ მიზნით, ცალკე სტრუქტურული ერთეულია შექმნილი (მაგ., დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, ჩინეთი, დანია, ფინეთი, იაპონია, ჰონკონგი, შვედეთი). ქვეყნების უმრავლესობა მეორე მოდელს იყენებს.

საქართველოში საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო არის დამოუკიდებელი ორგანო და იგი თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არცერთ სხვა ორგანოს და თანამდებობის პირს. მას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბალანსი და ბეჭედი. სააგენტო ანგარიშგაღებული სააგენტოს საბჭოს წინაშე და ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს. მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსებას სააგენტო იღებს ეროვნული ბანკისაგან.

რომელიც მათ თავიანთი საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს. ლიცენზიის მიღების შემდეგ ყველა კომპანია ექვემდებარება საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მონიტორინგს. მონიტორინგის პროცესში საფინანსო კომპანიები ვალდებული არიან, დაიცვან საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დადგენილი წესები და მოთხოვნები.

განსხვავებით საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსაგან, რომელიც ცალკეული საფინანსო ორგანიზაციების რისკებს აკვირდება, ეროვნული ბანკი სწავლობს მთლიანად საფინანსო სექტორის სისტემურ რისკებს. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი წელიწადში ერთხელ აქვეყნებს თავის ძირითად გამოკვლევას — ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, რომელიც, სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისაგან განსხვავებით, შეისწავლის მოვლენებს, რომელთა მოხდენის ალბათობა დაბალია, მაგრამ პოტენციური უარყოფითი გავლენა — ძალზე მაღალი (ფინანსური კრიზისები). ეს ანგარიში, როგორც წესი, განიხილავს მომავალ მოვლენებს, ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასების საფუძველზე.

არსებული კანონმდებლობით, ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კომერციულ ბანკს ექმნება ფინანსური სირთულეები, რომელთაც შეუძლია გამოიწვიოს მისი გაკოტრება, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მთელ საფინანსო სექტორს, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კრიზისული სიტუაციის განვითარების თავიდან აცილების მიზნით, ასეთ ბანკს გამოუყოს ბოლო ინსტანციის სესხი. როგორც წესი, ბოლო ინსტანციის სესხი მოკლევადიანია (სამ თვემდე), იგი გაიცემა საბაზროსთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით და არის უზრუნველყოფილი, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნულ ბანკს შეუძლია გასცეს უფრო გრძელვადიანი და არაუზრუნველყოფილი სესხიც.

გაცვლითი კურსის პოლიტიკა

საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს გაცვლითი კურსის პოლიტიკას, პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ექსპორტზე

გაცვლითი კურსის ცვლილება გავლენას ახდენს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობებზე, თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ იცვლება ამ დროს ფასები საქართველოსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველო და უკრაინა. თუ ლარის გაცვლითი კურსი უკრაინული გრივნას მიმართ სტაბილურია და ფასების დონე საქართველოში უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე უკრაინაში, ასეთ პირობებში, ქართული პროდუქტები უკრაინისათვის ძვირდება და პირიქით — თუ ლარის კურსი მყარდება უკრაინული გრივნას მიმართ,

ხოლო ფასები უკრაინაში საქართველოსთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება და ზრდის მაჩვენებელი აღემატება ლარის გამყარების ოდენობას, მაშინ ქართული პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახდება უკრაინელი მომხმარებლისათვის და, შესაბამისად, ქართული ექსპორტი გაიზრდება. გამომდინარე აქედან, როდესაც მსჯელობა მიმდინარეობს, თუ როგორ გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება ქართულ ექსპორტზე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ იცვლება ფასების დონე საქართველოში, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით.



საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე ლარით უნაღდო გადახდების ოპერაციების განხორციელებას.

1995 წელს, როდესაც ლარი იქნა შემოღებული, მოხდა მისი გაცვლითი კურსის ფიქსირება აშშ დოლარის მიმართ. ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი 1998 წლის ბოლომდე მოქმედებდა და მას შემდეგ ეროვნული ბანკი გაცვლითი კურსის პოლიტიკას წარმართავს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის პირობებში. მართვადი მცურავი გაცვლითი კურსი გულისხმობს, რომ ლარის კურსის დადგენა აშშ დოლარის მიმართ ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე ხდება. ამასთან, ეროვნული ბანკი, როგორც სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მონაწილე, ახორციელებს ჩარევას შიდა სავალუტო ბაზარზე (აშშ დოლარის ყიდვის ან გაყიდვის გზით), ლარის კურსის ყოველდღიური რყევების დიაპაზონის შემცირების მიზნით.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ დგინდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (თბსბ), სადაც

ვაჭრობა ყოველდღიურად იმართება. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი სხვა ვალუტების მიმართ დგინდება ლარი/აშშ დოლარის თბსბ-ზე დაფიქსირებული კურსისა და აშშ დოლარის სხვა ვალუტების მიმართ არსებული კურსების გადაანგარიშების საფუძველზე.

საგადახდო სისტემების ორგანიზება და მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საგადახდო სისტემების სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ორგანიზებას, მათ მართვას და ამ სისტემების ზედამხედველობას. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილია და მოქმედებს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის საფინანსო ინფრასტრუქტურის სრულყოფასა და საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა ფუნქციონირებს ეროვნული



საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ეკონომიკას ფულის ნიშნებით ამარაგებს.

ბანკის ბაზაზე და საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ქვეყნის მასშტაბით ღარით უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებს მისი მეშვეობით ახორციელებენ. საფინანსო სუბიექტებს შორის ანგარიშსწორება დროის რეალურ რეჟიმში სრულდება. აღნიშნული სისტემის გარეშე შეუძლებელია ერთი კომერციული ბანკიდან მეორეში თანხის გადარიცხვა. ყოველდღიურად ეროვნული ბანკის ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ასეთი გადარიცხვის რამდენიმე ათეული ათასი ოპერაცია სრულდება. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ შეიმუშაოს და გამოსცეს ქვეყნის მასშტაბით უნაღდო ანგარიშსწორების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები, დაადგინოს შესაბამისი წესები

და მოთხოვნები და ორგანიზება გაუწიოს საგადახდო სისტემების შექმნას და დანერგვას. ეროვნული ბანკი ასევე უფლებამოსილია, დაეხმაროს სხვა ბანკებს საგადახდო სისტემების შექმნაში და განახორციელოს აღნიშნული სისტემების ზედამხედველობა. 2007 წლის მონაცემებით, ეროვნული ბანკის ელექტრონული საგადახდო სისტემის მეშვეობით 5.1 მლნ ერთეული გადარიცხვა განხორციელდა, საერთო თანხით — 37 მლრდ ლარი, რაც 2-ჯერ და უფრო მეტად აღემატება საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს. საგადახდო სისტემის შემდგომი სრულყოფისა და საფინანსო სექტორის ზრდის კვალობაზე, უსაფრთხო და ეფექტიანი საგადახდო სისტემის განვითარების ხელშეწყობა მზარდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ასევე სხვა ცენტრალური ბანკების საქმიანობაში.

საგადამხდელო და ნუმისმატიკური დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვება

როგორც ცნობილია, ღარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მხოლოდ ეროვნულ ბანკს გააჩნია უფლება, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვება. ასევე, ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს, მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები.

ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ღარის ბანკნოტებისა და მონეტების (თეთრების) დიზაინს, შემადგენლობას და სხვა მახასიათებლებს, რის შემდეგაც იწყება ფულის ნიშნების ბეჭდვისა და მოჭრის პროცესში ჩაშვება. ქართული ფულის ნიშნები წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მზა ფულის ნიშნების ტრანსპორტირებას და შემდგომ ეროვნული ბანკის საცავებში მათ შენახვას ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. მოსახლეობას ფულის ნიშნები კომერციული ბანკების მეშვეობით მიეწოდება. 2007 წლის მონაცემებით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 1327.5 მილიონი ღარი შეადგინა, მათ შორის ბანკნოტი — 1302.2 მილიონი ღარის, ხოლო მონეტა — 25.3 მილიონი ღარის ოდენობის იყო. მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ყველაზე დიდი წილი 50 ღარის, შემდეგ 100-ღარიანსა და 20-ღარიან ბანკნოტებზე მოდის.

ფულის ნიშნების მიმოქცევაში გასვლის შემდეგ იწყება მათი ცვეთის ბუნებრივი პროცესი, რაც, საბოლოო ჯამში, მიმოქცევისათვის მათ გამოუსადეგარობას იწვევს. ქაღალდის ფულის ნიშნების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1-დან 5 წლამდე მერყეობს, გამომდინარე ნომინალის მოხმარების თავისებურებებიდან. მონეტები მიმოქცევაში გაცილებით დიდხანს

ძლებს. ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს ხმარებისათვის გამოუსადეგარი ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღებას და მათ ჩანაცვლებას შესაბამისი ოდენობის ახალი მონეტებითა და ბანკნოტებით. გამოუსადეგარი ფულის ნიშნების განადგურება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ხდება.

ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტის მთავარ ექსპერტს. იგი სისტემატურად ახორციელებს მიმოქცევიდან ყალბი და ფალსიფიცირებული ფულადი ნიშნების ამოღებას. ამასთან, ყალბი და ფალსიფიცირებული ფულადი ნიშნების ამოღება ხდება კომპენსაციის გარეშე.

მიმოქცევისათვის განკუთვნილი ფულის ნიშნების ემისიის გარდა, ეროვნული ბანკი კანონმდებლობით არის უფლებამოსილი, გამოუშვას ნუმისმატიკური დანიშნულების — სამახსოვრო და საინვესტიციო მონეტები.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლობით უფლებამოსილია ფლობდეს, ინახავდეს და მართავდეს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საერთაშორისო რეზერვების ძირითადი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ქვეყანაში მოქმედი სავალუტო რეჟიმის მხარდაჭერა, მთავრობის უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებების შეუფერხებელი მომსახურება და საგარეო შოკებისადმი საფინანსო სისტემის მედეგობის გაზრდა.

საერთაშორისო რეზერვების ინვესტირებისას ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპებით, რომელთა დაცვის თანმიმდევრულობა განსაზღვრულია მათი პრიორიტეტულობით, კერძოდ: ინვესტირებული თანხების საიმედოობა, რეზერვების ლიკვიდურობა და შემოსავლიანობის მაქსიმიზაცია.



საქართველოს ეროვნული ბანკი ფლობს, ინახავს და მართავს საქართველოს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს.

საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტებით, რომელთა გამოყენებაც შეუფერხებლად შეიძლება საერთაშორისო ანგარიშსწორების დროს, ხოლო კონკრეტული სავალუტო კომპოზიცია განისაზღვრება ქვეყნის საგარეო ვალდებულებებისა და ეკონომიკაში არსებული სავალუტო სტრუქტურის მიხედვით.

საერთაშორისო რეზერვები, ძირითადად, განთავსებულია დაბალი რისკის მქონე სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე დეპოზიტების სახით უმაღლესი რეიტინგის მქონე კომერციულ ბანკებში.

უკანასკნელ წლებში საერთაშორისო რეზერვების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული შესყიდვები ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსული თანხები და საერთაშორისო რეზერვების მართვით მიღებული შემოსავლები.

მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი

ეროვნული ბანკი საბანკო მომსახურებას უწევს საქართველოს მთავრობას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ერთიანი სახაზინო

ანგარიში, სადაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მისაღები ყველა შემოსულობის ჩარიცხვა, და საიდანაც ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა ხარჯვითი ოპერაცია. სახაზინო სამსახურს უფლება აქვს გახსნილი ჰქონდეს ეროვნულ ბანკში სხვა ანგარიშებიც.

აგრეთვე, ეროვნული ბანკი, როგორც საქართველოს მთავრობის ფისკალური აგენტი, ატარებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად აუქციონებს, აწარმოებს რეალიზებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს, ახდენს საპროცენტო გადახდებს და სახაზინო სამსახურს სხვა ტიპის დახმარებას უწევს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.

კანონმდებლობით, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ან სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის პარლამენტში წარდგენამდე ფინანსთა მინისტრი ვალდებულია, კონსულტაციები გაიაროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა

მონეტარული პოლიტიკის სწორად ფორმულირებისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ

კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას. კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი, კერძოდ: საპროცენტო განაკვეთების, ფულის მიწოდების და გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ინფლაციაზე. ამ მიზნით, ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს რამდენიმე ეკონომეტრიული მოდელი, რომლებიც ცალკეული ფაქტორების ინფლაციაზე ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასებების საშუალებას იძლევა. ამ ეკონომეტრიული მოდელებისა და ეროვნული ბანკის თანამშრომელთა ექსპერტული შეფასებების საფუძველზე მზადდება შესაბამისი მაკროეკონომიკური სცენარები და პროგნოზები, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის შესახებ ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოიყენება.


თუმცა, გარდა წმინდა მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმების შესწავლისა, თავისი ფუნქციების შესასრულებლად ეროვნულ ბანკს ესაჭიროება სიღრმისეული ცოდნა ეკონომიკის ცალკეული

სფეროების და ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი ასევე აწარმოებს სხვა მაკროეკონომიკური საკითხების კვლევებსა და ანალიზს, კერძოდ, ესენია: ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, წონასწორული გაცვლითი კურსი, საფინანსო სექტორის რისკები, ფისკალური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა და შრომისნაყოფიერება, საგადასახდლო ბალანსი, ექსპორტ-იმპორტის ფასები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ა. შ.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის თვალსაზრისით საინტერესო თემების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია, ხოლო ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსები — არასაკმარისი, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს სხვადასხვა დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ განხორციელებულ კვლევებს. ეროვნული ბანკის კვლევებისა და ანალიზის დიდი ნაწილი სხვადასხვა პუბლიკაციების სახით რეგულარულად ქვეყნდება.



საქართველოს ეროვნული ბანკი იკვლევს ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს.



საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია.

საფინანსო და საგარეო სტატისტიკის წარმოება

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტთან ერთად, პასუხისმგებელია ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების წარმოებასა და გავრცელებაზე. 2006 წლის 15 დეკემბრიდან საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის წევრია, რაც გულისხმობს ქვეყანაში სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პრაქტიკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გამოქვეყნებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტების ბიულეტენის სტენდზე.

ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური

სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია აწარმოოს და მომხმარებელს მიაწოდოს ობიექტური სტატისტიკური ინფორმაცია სტატისტიკის შემდეგი დარგების მიხედვით:

- მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა;
- საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკა;
- საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკა;
- საგარეო ვალის სტატისტიკა;
- საერთაშორისო რეზერვებისა და უცხოური ვალუტის ლიკვიდობის სტატისტიკა;
- გაცვლითი კურსების სტატისტიკა;
- საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა.

ეროვნული ბანკი მის მიერ წარმოებულ სტატისტიკურ ინფორმაციას რეგულარულად აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე და, აგრეთვე, გამოსცემს ბეჭდვითი სახით. სტატისტიკურ მონაცემთა მწკრივები, სათანადო მეთოდოლოგიურ

განმარტებებთან ერთად, ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება ხდება „სტატისტიკური პუბლიკაციების კალენდრის“ მიხედვით.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ეროვნული ბანკი, მისთვის კანონით მინიჭებული ფუნქციის ფარგლებში, საქართველოს წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი.

უკანასკნელ პერიოდამდე (2007 წლის სექტემბერი) საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აკავშირებდა პროგრამა, რომლის ფარგლებში გამოყოფილი იყო გრძელვადიანი სესხი — საქართველოს ეროვნული ბანკის

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების შესავსებად. 1992 წლიდან (როდესაც საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში) დღემდე ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი პარტნიორია საქართველოში და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდში მმართველს საქართველოს მხრიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში რეგულარულად აგზავნის მისიებს, რომლებიც სწავლობენ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და აძლევენ რჩევებს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მთავრობას. ეროვნული ბანკი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრებში. საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საფინანსო სისტემის შეფასებისა და საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების დანერგვის პროგრამების ფარგლებში.



საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს სახელით თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან.




საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკშიც. ეროვნული ბანკი მონაწილეობს ყოველწლიურ შეხვედრებსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკში, რომელიც შავის ზღვის აუზის ქვეყნების (თერთმეტი წევრი ქვეყანა) მიერ დაარსდა, მათი ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონალური

თანამშრომლობის მიზნით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არის მმართველი საქართველოს მხრიდან. ეროვნული ბანკი რეგულარულად იღებს მონაწილეობას ბანკის მმართველთა საბჭოს შეხვედრებში.

ეროვნული ბანკი ასევე თანამშრომლობს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთან. ეს ინსტიტუტი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებს და მოქმედებს, როგორც ცენტრალური ბანკების ბანკი.





ტერმინთა განმარტება

ბონი — 1. სახელმწიფო საზინის, მუნიციპალური ორგანოების, დაწესებულებების, ფორმების მიერ გამოშვებული სასესიო ვალდებულებები, რომელიც გამოიყენება, როგორც მსყიდველობითი და საგადასახდლო საშუალება. 2. ხურდა ფულის სახით დროებით მიმოქცევაში გაშვებული დაბალი ნომინალის მქონე ქაღალდის ფული. 3. მიმოქცევიდან გამოსული და საკოლექციო დანიშნულების საგნად ქცეული ქაღალდის ფული.

გაცვლითი კურსი — ორი ქვეყნის ეროვნული ვალუტის ღირებულება ერთმანეთთან მიმართებით, ანუ გაცვლითი კურსი არის ფასი, რომლითაც შესაძლებელია ერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტის გაცვლა მეორე ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე.

ა) **ნომინალური გაცვლითი კურსი** — ეროვნული ვალუტის ღირებულება, გამოსახული უცხოური ვალუტის ერთეულით.

ბ) **რეალური გაცვლითი კურსი** — ნომინალური გაცვლითი კურსი ორ ქვეყანას შორის ინფლაციითა გათვალისწინებით. სხვაგვარად, ორ ქვეყანას შორის რეალური გაცვლითი კურსი გამოითვლება, ნომინალური გაცვლითი კურსისა და ამ ქვეყნებში ფარდობითი ფასების ნამრავლით.

დეფლაცია — ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესი, ანუ ფასების საერთო დონის შემცირება ან ფულის მსყიდველობითი უნარის გაზრდა სასაქონლო მასასთან შედარებით.

ჩვეულებრივ, დეფლაციის თანმდევი მოვლენებია კაპიტალდაბანდების, წარმოებისა და დასაქმების შემცირება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) — დაარსდა 1991 წელს და მისი მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 27 ქვეყნისათვის, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის დამკვიდრებაში ინვესტირების გზით დახმარება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 61 ქვეყნისა და ორი მთავრობათაშორისი ინსტიტუტის მფლობელობაშია. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის აქციონერები წარმოდგენილია სახელმწიფო სტრუქტურებით, ჩვეულებრივ კომერციულ პარტნიორებთან ერთად, ინვესტირებას იგი, ძირითადად, კერძო საწარმოებში ახორციელებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს საბანკო პროექტებს, ახალ, რისკიან წამოწყებებს მრეწველობასა თუ ბიზნესში. აგრეთვე, ახდენს ინვესტირებას უკვე არსებულ ძველ კომპანიებში. ბანკი ასევე, მუშაობს სახელმწიფო სექტორის კომპანიებთან, პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის პროცესების მხარდასაჭერად და მუნიციპალური მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ეკონომიკის მონეტიზაცია — ეკონომიკის ფულის ნიშნებით მომსახურება. იგი, როგორც წესი, გამოისახება მიმოქცევისა და ბანკების დეპოზიტებზე არსებული ფულის მასის მთლიანი მოცულობის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკი — „ბანკთა ბანკი“, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას, ფლობს, ინახავს და განკარგავს საერთაშორისო რეზერვებს, ახორციელებს საფინანსო სისტემის ზედამხედველობას, ხელს უწყობს საგადახდო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და გააჩნია ფულის ემისიის ექსკლუზიური უფლება.

ეროვნული ბანკის საბჭო — ეროვნული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო ხუთი წევრის შემადგენლობით. საბჭოს წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე. საბჭოს წევრების გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის საფუძველზე.

თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟა — ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ფინანსური ურთიერთობის ვირტუალური „სავაჭრო მოედანი“, სადაც ხდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა. ვაჭრობებში მონაწილეობენ კომერციული ბანკები და ეროვნულ ბანკი.

ინფლაცია — ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდის პროცესი.

მონეტარული პოლიტიკა — ფულის რაოდენობისა და ღირებულების (საპროცენტო განაკვეთის) კონტროლი, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აუცილებელი პირობაა ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდისათვის.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი — ეროვნული ბანკის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთი — ეროვნული ბანკის მიერ

დაწესებული საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიხედვითაც კომერციული ბანკები ახორციელებენ ეროვნულ ბანკთან ფულის სესხება-გასესხების ოპერაციებს.

ნუმიზმატიკა — ფულადი ნიშნების, მონეტებისა და მედლების შემსწავლელი მეცნიერება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები — კაპიტალის დაბანდების ფორმა, როდესაც უცხოელ ინვესტორს (კერძო პირს, კერძო ან სახელმწიფო საწარმოს) შესყიდული აქვს პირდაპირი ინვესტირების ობიექტის აქციები 10 ან მეტი პროცენტის ოდენობით.

პორტფელის ინვესტიციები — როდესაც უცხოელ ინვესტორს (კერძო პირს, კერძო ან სახელმწიფო საწარმოს) შესყიდული აქვს პირდაპირი ინვესტირების ობიექტის აქციები 10-ზე ნაკლები პროცენტის ოდენობით.

საგადასახდელო ბალანსი — ასახავს კონკრეტული ქვეყნის მიერ ამა თუ იმ დროისათვის განხორციელებულ ყოველგვარ ოპერაციას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. იგულისხმება როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ტრანსაქციები. საგადასახდელო ბალანსში რეგისტრირებულია საქონლისა თუ მომსახურების როგორც ყიდვა, ისე გაყიდვა, ასევე, საქონელთა გაცვლა ან მათი გაჩუქება. იგი, ასევე, სრულყოფილად მოიცავს საერთაშორისო ფინანსურ ოპერაციებს.

საქართველოში საგადასახდელო ბალანსს საბოლოო სახეს აძლევს ეროვნული ბანკი და იგი ქვეყნდება კვარტალური პერიოდულობით.

სადეპოზიტო სერტიფიკატი — საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) — საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური საფინანსო სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გაცვლითი



კურსების და საგადასახდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. ის, ასევე, საჭიროებისამებრ, სთავაზობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას განვითარებად ქვეყნებს. სსფ, საკუთარი განსაზღვრებით, არის „184 ქვეყნის ორგანიზაცია, რომლის მიზანია, გააღრმავოს გლობალური მონეტარული თანამშრომლობა, შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და დასაქმების დონის ამაღლებას, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპი და შეამციროს სიღარიბის დონე“.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS) — ცენტრალური ბანკების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ცენტრალურ ბანკებსა და სხვა სააგენტოებს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, მონეტარული და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ასევე აწარმოებს საბანკო მომსახურებას მხოლოდ ცენტრალური ბანკებისა და მსგავსი პროფილის ორგანიზაციებისათვის. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ჰააგის შეთანხმების საფუძველზე დაარსდა შვეიცარიაში, ქ. ბაზელში, 1930 წელს.

სამომხმარებლო კალათა — ერთი საშუალო შინამეურნეობის მიერ პერიოდის განმავლობაში მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ნაკრები. სამომხმარებლო კალათაში შემაგავლი საქონლისა და მომსახურების ფასების


ცვლილებები თვიდან თვემდე, წარმოადგენს მთლიანად ფასების ცვლილებების ინდიკატორს, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსში აისახება.

ფისკალური პოლიტიკა — სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების ცვლილებების გზით მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე გავლენის მოხდენა.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB) — 1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა) საგარეო საქმეთა მინისტრების რიგით მეოთხე შეხვედრაზე, ხელი მოეწერა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის დამფუძნებელ შეთანხმებას. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შტაბბინა მდებარეობს საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქ. სალონიკში.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანია რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება, წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოება და, საბოლოო ჯამში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.






საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული გამოცემები

საქართველოს საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ამ სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ამზადებს პერიოდულ გამოცემებსა და თემატურ პუბლიკაციებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ეგიდით განხორციელებული ეკონომიკური კვლევები კონცენტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განსაკუთრებულად აქტუალურ სფეროებზე – ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, საფინანსო ბაზრებისა და ფინანსური სტაბილურობის საკითხებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი, გამოსაცემად აუცილებელი ციკლის დაცვით, ამზადებს შემდეგ პერიოდულ გამოცემებს:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- „ინფლაციის მიმოხილვა“ (ყოველკვარტალური, ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში“ (ყოველწლიური, ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- „მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა“ (ყოველთვიური, ქართულ ენაზე);
- „საქართველოს საგადასახდლო ბალანსი“ (ყოველწლიური, ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“ (ყოველკვარტალური, ქართულ და ინგლისურ ენებზე).



წლიური ანგარიში



ინფლაციის მიმოხილვა




ფინანსური სტაბილურობის ანგარიში



მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა



საქართველოს საგადასახდელო ბალანსი



მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი



საქართველოს ეროვნული ბანკის სათავო ოფისი

საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა (ლეონიძის, ყოფილი კიროვის, უფრო ადრე კი სოლოლაკის ქუჩა) აიგო XX საუკუნის დასაწყისში თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დაკვეთით, როგორც საბანკო ნაგებობა.

გასაბჭოების შემდეგ სოლოლაკის და პეტრე დიდის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბანკი კონფისკაციას დაექვემდებარა და მასში სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს ეროვნული კანტორა განთავსდა.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემაში შემავალი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკიც. ამ პერიოდიდან შენობაში ფუნქციონირებას იწყებს საქართველოს ეროვნული ბანკი.



1913 წელს გაზეთი „კავკაზი“ (N168), ბანკის შენობის საზეიმო კურთხევის შესახებ მკითხველს აუწყებდა:

„გუშინ, 23 ივლისს შედგა თბილისის პირველი საურთიერთობო კრედიტის საზოგადოების ახალი ნაგებობის კურთხევა სოლოლაკის ქუჩაზე. კურთხევის წინ მღვდელმა ო. იავემა ჩაატარა წირვა. წირვის შემდეგ ნაგებობა ეკურთხა წმინდა წყლით და საზოგადოებამ დაიწყო ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობა. ნაგებობის კურთხევას ესწრებოდნენ ქალაქის საბჭოს წევრები და სხვა საპატიო სტუმრები. საკუთარი საბანკო შენობის აგება საკრედიტო საზოგადოებას 25000 მან. დაუჯდა“.

ქუჩის მხარეს გამომავალი გრძივი ფასადი „მო-დერნის“ სტილის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. შენობის საფასადო კონსტრუქციას არბილებს მაღალი რელიეფის მქონე დენადი ორნამენტაცია და ფიგურული კომპოზიციები. დომინირებს სამი ვერტიკალი — შუაში, შესასვლელის თავზე, ცენტრალური მაღალი მონაკვეთი აივნით და ორმაგი ფრონტონით დასრულებული ფიგურული კომპოზიციით; ფლანგების კიდეებზე, ასევე ფრონტონით იმიტირებული, მართკუთხა „კოშკები“. შენობის ფასადს ერთიან სახეს სძენს სხვადასხვა ზომის ფართო სარკმლები და მძლავრი ლავგარდანები.

შენობა თავდაპირველად ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა, მაღალი სარდაფებით. მისი გრძივი ღერძი გამართული იყო დამრეცი ქუჩის პარალელურად. მთავარი ფასადი სწორედ ამ მხრიდანაა მოწყობილი.



გეგმით იგი წარმოადგენდა წაგრძელებულ მართკუთხედს (40X21 მ), რომელსაც ეზოს მხრიდან შუაში, ტრაპეციისმაგვარი მინაშენი ჰქონდა კიბის უჯრედისათვის. გადახურვები თარაზულად იყო მოწყობილი, მეორე სართულის ჭერი კი შეკიდული – კარკასულფორმებიან სახურავზე.

1959-60 წლებში ბანკის ორსართულიან ნაგებობას მესამე სართული დაემატა, რის შედეგად ბანკის შენობამ დღევანდელი იერსახე მიიღო. ინტერიერის პირველი და მეორე სართულების გეგმარება თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია. პირველი სართულის პოლსა და მეორე სართულის დარბაზს აივანზე გამავალი ფართო, შემინული თაღით საუკუნის წინანდელი იერსახე აქვს. ქუჩის მხრიდან ფასადს მამაკაცის ორი გრანდიოზული, ბაროკოს სტილის ქანდაკება ამშვენებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველო, 0105. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5
ტელეფონი: 442544; ფაქსი: 442577; ტელექსი: 212 952 LEGAL
ელფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge